სსიპ შოთა რუსთაველის
საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდი

28 ოქტომბერი 2025 ქ. თბილისი

გენერალური დირექტორის

ბრძანება № 172

2025 წლის სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის პრემიის - „ქალები მეცნიერებაში“ განსაკუთრებული მიღწევებისათვის მათემატიკის მიმართულებით კონკურსში გამარჯვებული კანდიდატის დამტკიცების შესახებ

„2025 წლის სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის პრემიის - „ქალები მეცნიერებაში“ განსაკუთრებული მიღწევებისათვის მათემატიკის მიმართულებით დაწესებისა და კონკურსის გამოცხადების შესახებ“ სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2025 წლის 1 სექტემბრის N129 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის წესი და პირობების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურის უფროსის 2025 წლის 27 ოქტომბრის სამსახურებრივი ბარათის (N1413166) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის პრემიის - „ქალები მეცნიერებაში“ განსაკუთრებული მიღწევებისათვის მათემატიკის მიმართულებით კონკურსში გამარჯვებული კანდიდატი:

განაცხადის შიფრი: WST-25-031

2. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში ფონდი) საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს ამ ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული გამარჯვებული კანდიდატისთვის დაწესებული ფულადი პრემიების გადაცემა.
3. დაევალოს ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურს წინმდებარე ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე.

4. დაევალოს ფონდის ადმინისტრაციულ და იურიდიულ დეპარტამენტს წინამდებარე ბრძანების გაცნობა ფონდის საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტისთვის და მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურისათვის.
5. ბრძანება ძალაშია მხარეებისთვის გაცნობისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი N64).

თეიმურაზ დოჭვირი თ. დოჭვირი